



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030466224230418

№ 04-166/ო

14 / მარტი / 2018 წ.

დასაკმების ხელშეწყობის საკითხებზე კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს N199 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ (დანართი 1.1) 8.1 ქვეპუნქტის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

- ა) დასაკმების ხელშეწყობის საკითხებზე კომუნიკაციის სტრატეგია (დანართი N1);
- ბ) დასაკმების ხელშეწყობის საკითხებზე კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა (დანართი N2).

2. დაევალოთ:

- ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის;
- ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), ბრძანების საჯაროდ ხელმისაწვდომობისა და საყოველთაო გაცნობის მიზნით, სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება და საჭირო საინფორმაციო ღონისძიებების ორგანიზება.

3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება, ადმინისტრაციული საპროცესო წესით, შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე კომუნიკაციის სტრატეგია

მუხლი 1. კომუნიკაციის სტრატეგიის მიზანი და რეგულირების სფერო

1. კომუნიკაციის სტრატეგიის მიზანია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებების შესახებ დაინტერესებული მხარეების და ზოგადად, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

2. კომუნიკაციის სტრატეგია განსაზღვრავს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებსა და ფართო საზოგადოებასთან ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციისათვის საჭირო ინსტრუმენტებს, საზომებს, წესებსა და პირობებს, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად, ევროკავშირის „Twinning“ პროექტის ფარგლებში - GE/20 „დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის შესაძლებლობების განვითარება საქართველოში“.

3. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე კომუნიკაციის სამიზნე ჯგუფებს, მათთან ურთიერთობის ეფექტური ინსტრუმენტების გამოვლენის, კომუნიკაციის პროცესის სწორად წარმართვის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შერჩევის მიზნით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ბრძანებაში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ანალოგიურ ტერმინებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გარდა, მოცემულ ბრძანებაში გამოყენებულ, ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სააგენტო** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო;

ბ) **სტრუქტურული ერთეული** - სააგენტოს ცენტრალურ აპარატში არსებული დეპარტამენტი;

გ) **ტერიტორიული ერთეული** - სააგენტოს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი, სოციალური მომსახურების ცენტრები და რაიონული (საქალაქო) განყოფილებები, რომლებიც კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებენ მოქმედი კანონმდებლობით სააგენტოზე დაკისრებულ უფლებამოსილებებს;

დ) **შჯსდს** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ე) **პარტნიორი ორგანიზაციები** - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N732 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები.

მუხლი 3. სამიზნე ჯგუფები

1. სამიზნე აუდიტორია, რომელთანაც სააგენტო ახორციელებს კომუნიკაციას დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე, შეიძლება დაიყოს ექვს გარე და ერთ შიდა ჯგუფად. გარე ჯგუფებია: სამუშაოს მაძიებლები, დამსაქმებლები, სოციალური პარტნიორები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, მასმედია და ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N732 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორციელებაზე. შიდა სამიზნე ჯგუფი მოიცავს როგორც საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე, სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების თანამშრომლებს. თითოეულ ზემოაღნიშნულ ჯგუფს გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული როლები, ფუნქციები და ინტერესები დასაქმების სფეროში. შესაბამისად, მათთან კომუნიკაციისათვის საჭიროა სხვადასხვა ინსტრუმენტები, საშუალებები, სიხშირე, ინფორმაციის შინაარსი და მიდგომა. გარდა ამისა, თვითონ სააგენტოს, თითოეულ აღნიშნულ სამიზნე ჯგუფთან დაკავშირებით, გააჩნია განსხვავებული მიზნები. შესაბამისად, კომუნიკაციის დაგეგმვის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია ყველა ზემოაღნიშნული ასპექტის სათანადოდ გათვალისწინება.

ცხრილი 1: სამიზნე ჯგუფები და კომუნიკაციის მიზნები

გარე კომუნიკაცია	
სამიზნე ჯგუფი	მიზანი
სამუშაოს მაძიებელი	სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განსახორციელებელი დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა სერვისების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება.
დამსაქმებელი	ძლიერი თანამშრომლობის ქსელის უზრუნველყოფა, ინფორმაციის გაცვლა, სააგენტოს დასაქმების ხელშეწყობის სერვისებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლება
პარტნიორი ორგანიზაციები	ეფექტური თანამშრომლობის და კოორდინაციის უზრუნველყოფა, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	თანამშრომლობის განვითარება
არასამთავრობო ორგანიზაციები	თანამშრომლობის განვითარება
მასმედია	ინფორმირებულობის დონის ამაღლება, ფართო მასებზე ინფორმაციის გავრცელება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ, ასევე მიმდინარე საქმიანობის შესახებ

შიდა კომუნიკაცია	
სამიზნე ჯგუფი	კომუნიკაციის მიზანი
სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულები, სმჯსდს	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურების განსახორციელებლად, კოორდინაციის უზრუნველყოფა

მუხლი 4. კომუნიკაციის პრინციპები და მიდგომები

1. კომუნიკაცია უნდა იყოს მომხმარებლებზე ორიენტირებული და დროული. ინფორმაციის შინაარსი უნდა იყოს მარტივი და ზუსტი. კომუნიკაციის ინსტრუმენტები და არხები უნდა შეირჩეს კომუნიკაციის მიზნისა და სამიზნე ჯგუფების მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. სოციალური მომსახურების სააგენტომ, დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე კომუნიკაციის პროცესში, უნდა დაიცვას შემდეგი მთავარი პრინციპები:

- ა) *ღიაობა და გამჭვირვალობა* - ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერ დროს, ყველგან და ყველასათვის;
- ბ) *პატიოსნება* - გაზიარებული ინფორმაცია უნდა იყოს წრფელი, შეესაბამებოდეს სიმართლეს და ამავდროულად, იყოს მორალურად გამართლებული;
- გ) *სიზუსტე* - ინფორმაცია ყოველთვის უნდა იყოს ზუსტი და ხარისხიანი;
- დ) *სიმარტივე* - კომუნიკაცია უნდა იყოს მარტივი, გაზიარებული ინფორმაცია უნდა იყოს გასაგები;
- ე) *უწყვეტობა* - ინფორმაციისა და უკუკავშირის გაზიარება უნდა მიმდინარეობდეს უწყვეტად.

3. დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე კომუნიკაციის პროცესში, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიდგომებია:

- ა) *პროაქტიულობა* - სოციალური მომსახურების სააგენტო პროაქტიულად უნდა აწვდიდეს სამიზნე ჯგუფებს ინფორმაციას და აგროვებდეს უკუკავშირს;
- ბ) *კოორდინირებულობა* - ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს კოორდინირებულად. იგი უნდა იყოს შეთანხმებული შიდა დონეზე, რათა შემცირდეს ნებისმიერი გაუგებრობა ან/და დაბნეულობა;
- გ) *დროულობა* - ინფორმაციის გავრცელება უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში.

მუხლი 5. კომუნიკაციის ინსტრუმენტები

1. სამიზნე ჯგუფებთან კომუნიკაციის ინსტრუმენტების/საშუალებების შერჩევის მთავარი პრინციპები შემდეგია: ხარისხი და ხელმისაწვდომობა, ხარჯთეფექტურობა და დროულობა.

2. სააგენტო სამიზნე ჯგუფებთან იყენებს კომუნიკაციის შემდეგ ინსტრუმენტებს/საშუალებებს:

ა) **ნაბეჭდი მასალა** - იგი უნდა აწვდიდეს მკითხველს ინფორმაციას დასაქმების ხელშეწყობის სფეროში სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ან მიმდინარე საქმიანობის, სახელმწიფო პროგრამებისა და ბენეფიტების, სააგენტოს საქმიანობის შედეგების შესახებ. ნაბეჭდი მასალა უნდა მომზადდეს მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით, უნდა იყოს მარტივი, მკითხველისათვის გასაგებ ენაზე შედგენილი. საინფორმაციო მასალა ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის და ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

ბ) **ინტერნეტი** - იგი აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის სწრაფად გავრცელების მიზნით. უნდა ხდებოდეს განახლებული მასალის განთავსება სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში. საინფორმაციო მასალა, რომელიც განთავსდება სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში სრულად უნდა ფარავდეს იმ საკითხებს, რაც აღწერილია მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში. ინფორმაციის მთავარი წყაროებია: საქართველოს კანონმდებლობა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს/სოციალური მომსახურების სააგენტოს მარეგულირებელი აქტები და ფოტო, ვიდეო და/ან აუდიო მასალები ღონისძიებებიდან.

გ) **საინფორმაციო შეხვედრები** - ასეთი შეხვედრები უნდა ჩატარდეს პერიოდულად, შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან: დამსაქმებლები, პარტნიორი ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სოციალური პარტნიორები, არასამთავრობო ორგანიზაციები. საინფორმაციო შეხვედრების მთავარი მიზანია: სამიზნე ჯგუფებისათვის სააგენტოს მომსახურებებისა და აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის მიზნების გაცნობა, ასევე, მათთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

დ) **მედიაშუალეობებთან პროაქტიული ურთიერთობა** - სააგენტოს მიერ დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელებულ და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, საჭიროა ყველა ტიპის მედიასაშუალებების გამოყენება (ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი და პრესა). ინფორმაცია, სააგენტოს მომსახურებისა და საქმიანობის შესახებ მედიასაშუალებების გამოყენებით, უნდა გავრცელდეს სტრუქტურირებული ფორმით, დაგეგმილი კამპანიების ფარგლებში. ასევე - ერთჯერადად, თუ გარკვეული გარემოებების შედეგად შეიქმნება რაიმე საკითხის შესახებ საზოგადოების ინფორმირების საჭიროება. მედიასაშუალებებთან თანამშრომლობა უნდა ემსახუროდეს ორგანიზაციის პოზიტიური იმიჯის გამყარებას, სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას და მათი მხარდაჭერის მოპოვებას.

3. გარდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემისა, რომელიც სააგენტოს სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებს შორის კომუნიკაციის ძირითადი ოფიციალური საშუალებაა, სააგენტო მიესალმება კოორდინაციის გაუმჯობესებისათვის დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე მის სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებს შორის შიდა კომუნიკაციისათვის სხვა საშუალებების (ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი, შეხვედრები) გამოყენებას. ამ ინსტრუმენტების გამოყენების მთავარი მიზანებია: დასაქმების ხელშეწყობის საკითხებთან დაკავშირებით სააგენტოს თანამშრომლების

ინფორმირებულობის დონის ამაღლება, ასევე, დასახული მიზნებისა და მიღწეული შედეგების თაობაზე კოორდინაციის გაუმჯობესება.

ცხრილი 2: სამიზნე ჯგუფები, კომუნიკაციის მთავარი ამოცანა და კომუნიკაციის ინსტრუმენტები

სამიზნე ჯგუფი	კომუნიკაციის მთავარი ამოცანა	კომუნიკაციის ინსტრუმენტები
გარე სამიზნე ჯგუფები		
სამუშაოს მაძიებელი	სრული ინფორმირებულობა ხელმისაწვდომი მომსახურებების შესახებ	<ul style="list-style-type: none"> • უშუალო კომუნიკაცია სამუშაოს მაძიებელთან • ნაბეჭდი მასალა • ტელეფონი • დასაქმების ფორუმი • WorkNet • სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდი
დამსაქმებელი	ძლიერი ქსელის შექმნა თანამშრომლობისათვის, ინფორმაციის გაცვლა, ინფორმირებულობა ხელმისაწვდომი მომსახურებების შესახებ	<ul style="list-style-type: none"> • დამსაქმებელთან ვიზიტი • ნაბეჭდი მასალა • სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდი • საინფორმაციო შეხვედრები • ტელეფონი • ინტერნეტი • ელფოსტა
პარტნიორი ორგანიზაციები	თანამშრომლებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობა, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაო შეხვედრები • ტელეფონი • ელ. ფოსტა
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	მხარდაჭერა ურთიერთობების დამყარების მიზნით	<ul style="list-style-type: none"> • საინფორმაციო შეხვედრები • სამუშაო შეხვედრები • სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდი • ტელეფონი • ელ. ფოსტა • ინტერნეტი • ნაბეჭდი მასალა
არასამთავრობო ორგანიზაციები	მხარდაჭერის მოპოვება, ნაყოფიერი სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბება	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაო შეხვედრები • საინფორმაციო შეხვედრები • ტელეფონი • ელ. ფოსტა

<p>მასმედია</p>	<p>ინფორმირებულობის დონის ამაღლება, ურთიერთობების დამყარება, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ახალი მომსახურებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება</p>	<ul style="list-style-type: none"> • სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდი • მედიასაშუალებების წარმომადგენლების ტრენინგი • ბრიფინგი • სატელევიზიო და რადიო გადაცემები/ინტერვიუები • სტატიები • სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდი • ნაბეჭდი მასალა • ინტერნეტი • ელ.ფოსტა
<p>შიდა სამიზნე ჯგუფები</p>		
<p>სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>ინფორმაციის მიწოდება დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებების შესახებ, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის/სოციალური მომსახურების სააგენტოს/შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლებს შორის კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა;</p>	<ul style="list-style-type: none"> • საინფორმაციო ბიულეტენები • საინფორმაციო შეხვედრები • სამუშაო შეხვედრები • ტელეფონი • ელ. ფოსტა • ნაბეჭდი მასალა

მუხლი 6. შეფასება და სამუშაოს შესრულების ძირითადი ინდიკატორები

1. იმისათვის, რომ კომუნიკაციის პროცესი სააგენტოსა და სამიზნე ჯგუფებს შორის მუდმივად უმჯობესდებოდეს, საჭიროა თვით ამ პროცესზე დაკვირვება პროცედურების, ინსტრუმენტების, მეთოდების და შედეგების შესაფასებლად. აუცილებელია, მუშაობის პროცესში შეცდომების, ხარვეზების გამოვლენა და მათი გამოსწორება. ამისათვის, კი სათანადო, მკაფიო და გაზომვადი ინდიკატორები უნდა იქნას მიღებული.

2. ეფექტური კომუნიკაციის მეთოდების შერჩევა უნდა მოხდეს კომუნიკაციის საშუალებების მიხედვით და ინდიკატორები უნდა შეესაბამებოდეს თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ამოცანებს.

მუხლი 7. ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი წინამდებარე დოკუმენტში

წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებები და დამატებები შედის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა

#	პერიოდი	აქტივობების დასახელება	სამიზნე ჯგუფი	მიზანი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	სამუშაოს შესრულების მთავარი ინდიკატორები
1	2018წ. მარტი-აპრილი-მაისი	სამუშაოს მაძიებლების ჯგუფური კონსულტირება	სამუშაოს მაძიებელი	დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ სამუშაოს მაძიებელთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი	ლონისძიების შესახებ ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში
2	2018წ. მარტი	კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთა ტრენინგი	სამუშაოს მაძიებელი	დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ სამუშაოს მაძიებელთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი	ლონისძიების შესახებ ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში
3	2018წ. მარტი	საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება-გავრცელება დასაქმების პროგრამების შესახებ	სამუშაოს მაძიებელი დამსაქმებელი	დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებისა და დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება	დირექტორის აპარატი, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი	გავრცელებული ნაბეჭდი მასალის რაოდენობა
4	2018წ. მარტი	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის გაცნობა დამსაქმებლებისთვის	დამსაქმებლები	სააგენტოს საქმიანობისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამების თაობაზე კერძო სექტორის ინფორმირებულება	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი	ლონისძიების შესახებ ინფორმაციის სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსება, გავრცელებული ინფორმაციის რაოდენობა

5	2018წ. აპრილი	სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება - გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის გაცნობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მომზადება- გადამზადების პროგრამაში ჩართვის თაობაზე ინფორმირებულობის დონის ამაღლება ეფექტური თანამშრომლობისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი	მასმედიაში გავრცელებული სიახლეების რაოდენობა, ინფორმაციის სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსება
6	2018წ. აპრილი	პროფესიული მომზადება გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის დაწყება	სამუშაოს მაძიებლები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	სამუშაოს მაძიებლების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმირებულობის დონის ამაღლება	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი	მასმედიაში გავრცელებული სიახლეების რაოდენობა, სააგენტოს, ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება
7	2018წ. აპრილი	სატელევიზიო და რადიო-გადაცემებში პროფესიული მომზადება- გადამზადების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	სამუშაოს მაძიებელი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	რეგისტრაციის დაწყებასა და პროგრამაში ჩართვისათვის საჭირო პროცედურებზე სამუშაოს მაძიებლების ინფორმირებულობის დონის ამაღლება	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი	მასმედით გავრცელებული სიახლეების რაოდენობა
8	2018წ. აპრილი	სამუშაოს მაძიებლების ჯგუფური კონსულტირება	სამუშაოს მაძიებელი	დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ სამუშაოს მაძიებელთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი	დონისძიების შესახებ ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში

9	2018წ. აპრილი	დასაქმების ხელშეწყობის სერვისების გაცნობა რეგიონებში (იმერეთი)	დამსაქმებლები, პარტნიორი ორგანიზაციები	დასაქმების სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება, დასაქმების ხელშეწყობის სერვისების ხელმისაწვდომობის წარმოჩენა	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი, ტერიტორიული ერთეულები	მედიაში გავრცელებული სიახლეების რაოდენობა, ღონისძიების შესახებ ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში
10	2018წ. აპრილი	მასმედიის წარმომადგენლების ტრენინგი დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით	მასმედია	სოციალური მომსახურების სააგენტოს/დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი	ტრენინგზე დამსწრე ჟურნალისტების რაოდენობა, დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე სააგენტოს საქმიანობის შესახებ მასმედიით გავრცელებული საინფორმაციო მასალების რაოდენობა, სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება
11	2018წ. მაისი	მხარდაჭერითი დასაქმების სპეციალისტების ტრენინგი	სამუშოს მაძიებელი, დამსაქმებელი, პარტნიორი ორგანიზაციები	დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ სამუშაოს მაძიებელთა ინფორმირება	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი	მასმედიით გავრცელებული სიახლეების რაოდენობა, ღონისძიების შესახებ ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში
12	2018წ. მაისი	დამსაქმებლებისა და მხარდაჭერითი დასაქმების სპეციალისტების შეხვედრა	სამუშოს მაძიებელი, დამსაქმებელი, პარტნიორი ორგანიზაციები	მხარდაჭერითი დასაქმების სერვისის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი	მასმედიით გავრცელებული სიახლეების რაოდენობა, ღონისძიების შესახებ ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში

13	2018წ. მაისი	დასაქმების ხელშეწყობის სერვისების გაცნობა რეგიონებში (სამეგრელო)	სამუშოს მაძიებელი, დამსაქმებელი, პარტნიორი ორგანიზაციები	დასაქმების სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება, დასაქმების ხელშეწყობის სერვისების ხელმისაწვდომობის წარმოჩენა	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი, ტერიტორიული ერთეულები	მასმედიით გავრცელებული სიახლეების რაოდენობა, ღონისძიების შესახებ ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში
14	2018წ. მაისი	დასაქმების ხელშეწყობის სერვისების გაცნობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის	სამუშაოს მაძიებლები	დასაქმების სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება, დასაქმების ხელშეწყობის სერვისების ხელმისაწვდომობის წარმოჩენა	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი	მასმედიით გავრცელებული სიახლეების რაოდენობა, ღონისძიების შესახებ ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში
15	2018წ. მაისი	დასაქმების ფორუმის შესახებ ინფორმაციის გავრცელება	სამუშაოს მაძიებლები, დამსაქმებლები	მომსახურების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება, სამუშაოს მაძიებლებისა და დამსაქმებლების მოზიდვა	დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, დირექტორის აპარატი	მასმედიამში გავრცელებული სიახლეების რაოდენობა, ღონისძიების შესახებ ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში, ფორუმის მონაწილე დამსაქმებლების და სამუშაოს მაძიებლების რაოდენობა